ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1935 წ. ივნისის 12. № 15 ტფილისი.

## შინაარსი

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები.

83. საქართველოს სსრ-ის 1935 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესახებ.

84. „საზომ-საწონი ხელსაწყოების პასპორტიზაციის ჩატარების თაობაზე" გამოცემული, 1935 წ. აპრილის 7-ის დადგენილების მე-4 და 5 მუხლების შეცვლის შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

85. 1935 წელს მეთესლეობისა და ბოსტნეულ-ბაღჩეული და საქონლის საკვები ფესვნაყოფა კულტურების სათესლეებისათვის თესლისა და ფართობების კონტრაქტაციის შესახებ.

86. „მეთესლეობისა და 1935 წელს ბოსტნეულ-ბაღჩეული და საქონლის საკვები ფესვნაყოფა კულტურების სათესლეებისათვის თესლისა და ფართობების კონტრაქტაციის თაობაზე" გამოცემული, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. მარტის 2-ის დადგენილების მე-10 მუხლის შეცვლის შესახებ.

87. 1935 წლის მოსავლის ახალზეთოვანი კულტურების კონტრაქტაციის გეგმის შესახებ.

88. 1935 წლის მოსავლის ნედლი წიპწოვანი (თესლოვანი) ხილისა, ჩირისა, თხილისა და კურკოვანი ხილის სავალდებულო სახელმწიფო კონტრაქტაციის და დამზადების შესახებ.

89. კალიასთან და მჭედელასთან ბრძოლის ჩატარების შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება.

90. სამინდე გამოსალების განაკვეთების შესახებ.

91. 1935 წლის მოსავლის მოცვის ფოთლის დამზადებისა და განაწილების გეგმის შესახებ.

ტრანსპორტი.

92. „საგზაო მშენებლობაში საბჭოთა მეურნეობების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მონაწილეობისა და გზების დაცვის შესახებ" გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ნოემბრის 22-ის დადგენილების მე-2 მუხლის განმარტების შესახებ.

ფინანსები.

93. 1935 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

სახელმწიფო დაზღვევა.

94. „საქართველოს სსრ სოფლებსა და ქალაქებში 1935 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის თაობაზე" გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

შრომა.

95. „სამედიცინო მომუშავეთა სამუშაო ხელფასის გადიდებისა და 1935 წელს ჯანმრთელობის დაცვისათვის ასიგნების გადიდების თაო-

ბაზე“ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წ. მარტის 4-ის დადგენილების გამოცემასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა.

**96.** 1935 წელს სასკოლო მშენებლობის შესახებ.

ჯანმრთელობის დაცვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

97. საქართველოს სსრ მთავარ საკურორტო სამმართველოსთან მინერალური წყლების სამმართველოს სახელმწიფო ტრესტის („საქმინწყლის“) ორგანიზაციის შესახებ.

სისხლის სამართალი.

**98.** სისხლის სამართლის კოდექსის 75 მუხლის მეორე ნაწილის სანქციისა, 202 მუხლისა და 202[1] მუხლის პირველი ნაწილის შეცვლის შესახებ.

# სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები

## 83. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

**საქართველოს სსრ-ის 1935 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ 1935 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა დამტკიცებულ იქნას შემდეგი ძირითადი მაჩვენებლებით:

1. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის კაპიტალურ დანახარჯთა საერთო მოცულობა განისაზღვროს 455,8 მილიონი მანეთის რაოდენობით; აქედან რესპუბლიკანური და ადგილობრივი ქვემდებარეობის სახალხო მეურნეობის დარგების ხაზით—152,2 მილიონი მანეთი, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული დარგებზე და ობიექტებზე დაყოფის თანახმად.

2. საქართველოს სსრ მთელი მრეწველობის (საერთო-საკავშირო, რესპუბლიკანური და ადგილობრივი ქვემდებარეობისა) პროდუქციის საერთო ზრდა განისაზღვროს 13,3%-ის რაოდენობით; აქედან:

ა) საერთო-საკავშირო მრეწველობის ხაზით—204,2 მილ. მან. (ზრდა 15,7%);

ბ) რესპუბლიკანური და ადგილობრივი ქვემდებარეობის ადგილობრივი მრეწველობის ხაზით—158,7 მილიონი მან. (ზრდა 8,7%);

გ) საქართველოს სსრ ცალკეული უწყებებისა და სახელმწიფო ორგანიზაციების ქვემდებარე მრეწველობის ხაზით—113 მილ. მან. (ზრდა 24,4%);

დ) სარეწაო კოოპერაციისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მრეწველობის ხაზით—176,9 მილ. მან. (ზრდა 6,2%).

3. მრეწველობის ძირითადი დარგების პროდუქციის გამოშვება განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | |
|---|---|
| ელექტროენერგია . . . . . . . . . . | 355 მილ. კილოვ.-საათი |
| ქვანახშირი . . . . . . . . . . . . | 506 ათასი ტონა |
| მარგანეცი (სასაქონლო პროდ.) . . . . | 1.130 " " |
| ბარიტი (გამდიდრ.) . . . . . . . . . | 20 " " |
| გუმბრინი (მშრალი) . . . . . . . . . | 70 " " |
| ცემენტი . . . . . . . . . . . . . | 110 " " |
| საშენი აგური . . . . . . . . . . . | 94,9 მილ. ცალი (ყველა სისტემის ხაზით) |
| აბრეშუმის ქსოვილი (მზა) . . . . . . | 2.500 ათასი მეტრი |
| მატყლის ქსოვილი (მზა) . . . . . . . | 1.189,4 " " |
| ფეხსაცმელი . . . . . . . . . . . . | 2.096,4 ათასი წყვილი (ყველა სისტემის ხაზით) |

4. სასოფლო მეურნეობის საერთო პროდუქციის ზრდა განისაზღვროს 16,3%-ის რაოდენობით, აქედან მემცენარეობისა—17,9% და მეცხოველეობისა—11,8%.

5. მრავალწლიან ნარგავთა გაშენების გეგმა განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით:

| | |
|---|---|
| ჩაი . . . . . . . . . . . . . . . . . | 2.010 ჰექტარი |
| ციტრუსები . . . . . . . . . . . . . | 494 " |
| ვენახები . . . . . . . . . . . . . . | 412 " |
| ხილის ბაღები . . . . . . . . . . . . | 2.217 " |

6. სამანქანო-სატრაქტორო სადგურების სამუშაოთა გეგმა განისაზღვროს 175,8 ათასი ჰექტარის რაოდენობით (ნახნავზე გადატანით) წინააღმდეგ 154,6 ათასი ჰექტარისა, რაც 1934 წელს იყო.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან ერთად:

ა) გადასინჯოს სათეს ფართობთა გეგმები, საერთო-საკავშირო ორგანოების დადგენილებით ამ გეგმების შეცვლის გამო;

ბ) დააზუსტოს გეგმა მეცხოველეობის ხაზით, საქონლის აღრიცხვის უკანასკნელ ცნობებთან დაკავშირებით (1935 წ. იანვრის 1-თვის).

8. საქონელბრუნვის გეგმა (საზოგადოებრივი კვებითურთ) ყველა სისტემის ხაზით განისაზღვროს 1.642 მილ. მან. რაოდენობით (ზრდა 26,6%; აქედან: ქალაქად—29,5% და სოფლად—17,1%).

საქონელბრუნვის გეგმა განისაზღვროს: ა) „ცეკავშირის" სისტემის ხაზით —396,1 მილ. მან. რაოდენობით; ბ) ტფილისის სამომხმარებლო ორგანიზაციების კავშირის ხაზით—208,8 მილ. მან. რაოდენობით; გ) „აფკავშირის" სისტემის ხაზით—77,4 მილ. მან. რაოდენობით; დ) „საქსახვაჭრობის" ხაზით—115 მილ. მან. რაოდენობით და ე) „საქკვებვაჭრობის" ხაზით—178 მილ. მან. რაოდენობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. განისაზღვროს განათლების ხაზით:

ა) სკოლამდე აღზრდის დაწესებულებების მოწაფეთა რიცხვი 84.856 კაცით; მათ შორის: ქალაქად—40.700 კაცი და სოფლად —44.156 კაცი;

ბ) საერთო განათლების დაწყებითი და საშუალო სკოლების მოსწავლეთა რიცხვი—613.481 კაცით; სკოლებში მიღება—151.900 კაცით, და გამოშვება—100.374 კაცით.

10. განისაზღვროს ჯანმრთელობის დაცვის ხაზით:

ა) ჯანმრთელობის პუნქტების რიცხვი—180,0; აქედან: ქალაქად—145 და სოფლად—35;

ბ) საწოლთა რიცხვი—6.700; აქედან ქალაქად—5.100 და სოფლად 1.600.

11. წინადადება მიეცეს ყველა უწყებას და ორგანიზაციას—წარუდგინოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თვითღირებულებისა, შრომის ნაყოფიერებისა და შრომის სხვა მაჩვენებელთა გეგმები.

დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას—წარმოუდგინოს დამატებით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად სახალხო-სამეურნეო გეგმის ძირითადი მაჩვენებლები თვითღირებულებისა და შრომის ხაზით.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი თ. ჟღენტი.

1935 წ. აპრილის 29. № 548.

ტფილისი.

---

## 84. დადგენილება ს.კ.ს.

**„საზომ-საწონი ხელსაწყოების პასპორტიზაციის ჩატარების თაობაზე“ გამოცემული, 1935 წ. აპრილის 7-ის დადგენილების მე-4 და 5 მუხლების შეცვლის შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მე-4 და 5 მუხლები საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. აპრილის 7-ის თარიღის და 463 №-ის დადგენილებისა „საზომ საწონი ხელსაწყოების პასპორტიზაციის ჩატარების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. მე-14 №-ი, მუხ. 73) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„4. საზომ-საწონი ხელსაწყოების პასპორტიზაციის ჩატარებისა და ორგანიზაციებისათვის პასპორტებისა და სისტანდარტო ცხრილების მიწოდების მთელი მუშაობა დაეკისროს საზომ-საწონთა ცენტრალური სამმართველოს რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში; თანაც მიეცეს მას უფლება გადასცეს ამ

მუშაობის ჩატარება ხელშეკრულების საფუძველზე სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს“.

„5. პასპორტიზაცია დამთავრებულ უნდა იქნას მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არა უგვიანეს 1935 წ. სექტემბრის 1-ისა“.

საქ. სსრ. ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი ა. ქავთარაძე.

1935 წ. მაისის 7. № 558.
ტფილისი.

---

## მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

### 85. დადგენილება ს.კ.ს.

**1935 წელს მეთესლეობისა და ბოსტნეულ-ბაღჩეული და საქონლის საკვები ფესვნაყოფა კულტურების სათესლეებისათვის თესლისა და ფართობების კონტრაქტაციის შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დატოვებულ იქნას 1935 წლისთვის არსებული საკონტრაქტაციო (სახელშეკრულებო) სისტემა ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების და საკვებ ფესვნაყოფთა ჯიშიანი თესლის დამზადებისა მეთესლეობის კოლექტიურ მეურნეობებში.

კონტრაქტაციის და დამზადების ჩატარება დაეკისროს „გოსსორტფონდის“ რესპუბლიკანურ კონტორას.

2. დამტკიცებულ იქნას 1935 წლისათვის მეთესლეობის კოლექტიურ მეურნეობებში თესლის დათესვისა და სათესლეების გაშენების გეგმა 565,5 ჰექტარის ფართობზე, კულტურებზე და რაიონებზე დაყოფით:

| | |
|---|---|
| ბაღჩეული კულტურების დათესვა . . . . . | 15 ჰექტ. |
| ცერცვოვანი საბოსტნე კულტურების დათესვა | 205 ჰექტ. |
| ერთწლიანი სა ოსტნე კულტურების დათესვა | 58 ჰექტ. |
| ორწლიანი საბოსტნე კულტურების დათესვა | 56,5 ჰექტ. |
| ნიორისა და ხახვის დათესვა სადედედ . . . | 66,5 ჰექტ. |
| საბოს ი კულტურებისა და ფესვნაყოფთა დარგვა . . . . . . | 164,5 ჰექტ. |
| | 565,5 ჰექტ. |

(იხ. 1-ლი და მე-2 დანართი)

3. დამტკიცებულ იქნას 1935 წლის მოსავლის ჯიშიანი თესლის კონტრაქტაციის და დამზადების გეგმა შემდეგი რაოდენობით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| ბაღჩეული კულტურებისა . . . . . . . . | 12,8 | ცენტნ. |
| საბოსტნე ცერცვოვანი კულტურებისა . . | 512,5 | „ |
| საბოსტნე ერთწლიანი კულტურებისა . . | 59,4 | „ |
| საბოსტნე ორწლიანი კულტურებისა . . . | 195,25 | „ |
| საკვები ფესვნაყოფისა . . . . . . . . . . | 4,5 | „ |
| ხახვის სადედე და ნიორისა . . . . . . . | 132,5 | „ |
| | 2106,95 | „ |

შეენარჩუნოს კოლექტიურ მეურნეობებს თესლის ზედმეტი მოსავლის თავისუფალი რეალიზაციის უფლება საქართველოს სსრ-ში საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა შესრულებისა და სათესლე ფონდების დაგროვების შემდეგ.

4. დამტკიცებულ იქნას 1935 წლისთვის ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებისა და საკვებ ფესვნაყოფთა კონტრაქტაციით თესლის ჩაბარების საშუალო ჰექტარობითი ნორმები და 1935 და 1936 წლების მოსავლის თესლის დასაკონტრაქტებელი სასაქონლო პროდუქციის ფულადი ავანსირების ნორმები, მე-3 და მე-4 დანართების თანახმად.

5. აღიძრას სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე შუამდგომლობა სასოფლო-სამეურნეო ბანკისა და სახელმწიფო ბანკის განკარგულებაში საჭირო გრძელვადიანი და მოკლევადიანი კრედიტების გამოყოფის შესახებ საქართველოს სსრ-ში ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებისა და საკვებ ფესვნაყოფთა მეთესლეობისათვის და აგრეთვე 1935 წლის მოსავლის სათესლე და სარგავი მასალის დამზადებისათვის.

6. აეკრძალოს ბოსტნეულით მოვაჭრე ორგანიზაციებს ხახვისა, ნიორისა და სხვა ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების კონტრაქტაციის წარმოება და დამზადება მეთესლეობის კოლექტიურ მეურნეობებში და „გოსსორტფონდის“ საქართველოს კონტორის მიერ დაკონტრაქტებულ ფართობებში.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულთან (საქ. სსრ-ში) ერთად, დაამტკიცოს ერთი დეკადის ვადაზე მებოსტნეობის მეთესლეობის კოლექტიური მეურნეობების სია.

7. დაევალოს „გოსსორტფონდის“ რესპუბლიკანურ კონტორას, ორწლიან საბოსტნე კულტურებზე, საკვებ ფესვნაყოფებზე და სადედე ხახვზე საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების დადების დროს, გაითვალისწინოს მეთესლეობის კოლექტიური მეურნეობების მხრით ზამთრისთვის სათესლეების ჩაყრისა და 1936 წლის გაზაფხულზე დარგვისათვის ამ სათესლეების შენახვის (შენახვის შესახები ხელწერილების ჩამორთმევით) ვალდებულებანი.

8. დაევალოს „გოსსორტფონდის“ რესპუბლიკანურ კონტორას და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—უზრუნველყონ კონტრაქტაციის გაშლა არა უგვიანეს 1935 წ. მარტის 1-ისა და დამთავრება 1935 წ. მარტის 20-თვის.

**9.** დაევალოს „გოსსორტფონდის“ საქართველოს რესპუბლიკანურ კონტო-რას—დააზუსტოს თესლის დამზადების გეგმა ნათესების აპრობაციის ჩატარების შემდეგ და წარუდგინოს ყველა მასალა საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს.

**10.** წინადადება მიეცეს „გოსსორტფონდის“ რესპუბლიკანურ კონტორას მოაწესრიგოს მეთესლეობის რაიონებში სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ინსტრუქტაჟი მეთესლეობისა და ბალჩეული კულტურების და საკვებ ფესვნაყოფთა ხაზით, და აგრეთვე უზრუნველყოს სათანადო აგრომომსახურეობით მეთესლეობის კოლექტიური მეურნეობანი სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მოქმედების რაიონების გარეშე.

დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებს—დაამყარონ კონტროლი და მეთვალყურეობა აღნიშნული ინსტრუქტაჟისა და აგრომომსახურეობის უზრუნველყოფისათვის და გაუწიონ თავისი მხრითაც მეთესლეობის კოლექტიურ მეურნეობებს დახმარება სამეთესლეო მეზოსტნეობის საქმეში კვალიფიცირებული აგრონომების გამოყოფით.

**11.** დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს:

ა) დააწესოს, სამომხმარებლო კოოპერაციასა და „საქკონსერვხილბოსტანტრესტთან“ ერთად, მათ მეურნეობებში სათესლეების შენახვის გეგმა;

ბ) შეამოწმოს ა/წ. მარტისათვის თესლსაცავთა მდგომარეობა „გოსსორტფონდის“ რესპუბლიკანური კონტორის სისტემაში და აგრეთვე სათესლე მასალის შენახვის თვისება და უზრუნველყოს თავის დროზე საცავთა განმზადება 1935 წელს დამზადებული თესლის მისაღებად.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი ა. ქავთარაძე.

1935 წ. მარტის 2. № 263.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი 1

## გ ე გ მ ა

### ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების და საკვებ ფესვნაყოფთა მეთესლეობისა 1935 წლისთვის „გოსსორტფონდის" საქართველოს კონტორის სისტემის ხაზით

| კულტურების სახელწოდება | გაზაფხული | | შემოდგომა | დამზადების რაოდენობა ცენტნერობ. |
|---|---|---|---|---|
| | დათესვა (ჰექტარ.) | დარგვა (ჰექტარ.) | დათესვა (ჰექტარ.) | |
| **ა. ორწლიანი ბოსტნეული კულტურები** | | | | |
| 1. კომბოსტო ადრეული | — | 51 | 5 | 51 |
| 2. კომბოსტო ნაგვიანევი | 12 | 6 | — | 12 |
| 3. თავიანი ხახვი | 2ა | 40 | — | 1060 |
| 4. ნიორი | 1,5 | 20 | 40 | 322,5 |
| 5. პრასა | 5 | 6,5 | — | 9,75 |
| 6. საჭმელი ჭარხალი | 6 | 0,5 | — | 2,5 |
| 7. სტაფილო | 9 | 11 | 5 | 22,0 |
| 8. ნიახური | 1,5 | 1 | — | 2,0 |
| 9. ოხრახუში | 2 | 3 | — | 6,0 |
| 10. ზამთრის ბოლოკი | — | 2 | 3 | 5,0 |
| 11. ჩინური ბოლოკი | — | 10 | 6 | 25,0 |
| 12. საქონლის საკვები ჭარხალი | — | 1,5 | — | 4,5 |
| 13. ლიონის მჟაუნა | — | — | 2 | — |
| | 62 | 152,5 | 61 | 1522,25 |
| **ბ. ერთწლიანი ბოსტნეული კულტურები** | | | | |
| 1. პომიდორი | 5 | — | — | 2,5 |
| 2. ბადრიჯანი | 2 | — | — | 1,0 |
| 3. წიწაკა | 2 | — | — | 1,0 |
| 4. კიტრი | 25 | — | — | 22,0 |
| 5. თვის ბოლოკი | 3 | 4 | 5 | 10,5 |
| 6. წიწმატი | 1 | — | — | 2,0 |
| 7. ისპანახი | — | 6 | 10 | 12,0 |
| 8. სალათა | — | 2 | 2 | 2,4 |
| 9. კამა | 1 | — | — | 2,0 |
| 10. საჭმელი მუხუდო | 30 | — | — | 75,0 |
| 11. ლობიო | 175 | — | — | 437,5 |
| 12. კაბაჩკი | 2 | — | — | 4,0 |
| | 246 | 12 | 17 | 571,9 |
| **გ. ბაღჩეული კულტურები** | | | | |
| 1. საზამთრო | 10 | — | — | 8 |
| 2. ნესვი | 3 | — | — | 2,4 |
| 3. საჭმელი გოგრა (კვახი) | 2 | — | — | 2,4 |
| | 15 | — | — | 12,8 |
| ს უ ლ . . . | 323 | 164,5 | 78 | 2106,95 |

დანართი 2

| რაიონები, კულტურები | გეგმა | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1935 წლის გაზაფხული | | 1935 წლის შემოდგომა | სულ |
| | დათესვა (ჰექტარ.) | დარგვა (ჰექტარ.) | დათესვა (ჰექტარ.) | |
| **ახალქალაქის რაიონი** | | | | |
| 1. მუხუდო | 30 | — | — | 30 |
| **ახალციხის რაიონი** | | | | |
| 1. ხახვი თავიანი | 5 | 5 | -- | 10 |
| **გორის რაიონი** | | | | |
| 1. პომიდორი | 2 | — | — | 2 |
| 2. ნეჟინის კიტრი | 5 | — | — | 5 |
| 3. თვის ბოლოკი | 1 | — | — | 1 |
| 4. ბრაუნშვეიგის კომბოსტო | 8 | 3 | — | 11 |
| 5. ხახვი თავიანი | 4 | 4 | — | 8 |
| 6. ნიორი | — | 7 | 10 | 17 |
| 7. საჭმელი ჭარხალი | 3 | — | — | 3 |
| 8. საჭმელი სტაფილო | 3 | 3 | — | 6 |
| 9. ნიახური | 0,5 | 0,5 | — | 1 |
| 10. ისპანახი „გოდრი" | — | — | 4 | 4 |
| 11. მჟაუნა | — | — | 1 | 1 |
| სულ | 26,5 | 17,5 | 15 | 59 |
| **სტალინისის რაიონი** | | | | |
| 1. ბრაუნშვეიგის კომბოსტო | 4 | 3 | — | 7 |
| 2. ხახვი თავიანი | 2 | 1 | — | 3 |
| 3. ნიორი | — | 1,5 | 5 | 6,5 |
| 4. პრასა | — | 1,5 | — | 1,5 |
| 5. საჭმელი ჭარხალი | 3 | 0,5 | — | 3,5 |
| 6. საჭმელი სტაფილო | 3 | 3 | — | 6,0 |
| 7. საქონლის საჭმელი ჭარხალი | — | 1,5 | — | 1,5 |
| სულ | 12 | 12 | 5 | 29 |
| **ტფილისის რაიონი** | | | | |
| 1. კიტრი | 10 | — | — | 10 |
| 2. თვის ბოლოკი | 1 | — | — | 1 |
| 3. წიწმატი | 0,5 | — | — | 0,5 |
| 4. ისპანახი | — | 3 | 3 | 6 |
| 5. კამა | 0,5 | — | — | 0,5 |
| 6. ხახვი თავიანი | — | 2 | — | 2 |
| 7. საჭმელი სტაფილო | 3 | 2 | — | 5 |
| 8. ჩინური ბოლოკი | — | 2 | 3 | 5 |
| სულ | 15 | 9 | 6 | 30 |
| **ყარაიას რაიონი** | | | | |
| 1. ბადრიჯანი | 2 | — | — | 2 |
| 2. ხახვი თავიანი | 2 | 3 | — | 5 |
| 3, ნიორი | — | 2 | 5 | 7 |
| სულ | 4 | 5 | 5 | 14 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| რაიონები, კულტურები | გ ე გ მ ა | | | |
|---|---|---|---|---|
| | გაზაფხული 1935 წ. | | შემოდგომა 1935 წ. | ს უ ლ |
| | დათესვა (ჰექტარ.) | დარგვა (ჰექტარ.) | დათესვა (ჰექტარ.) | |
| **ბორჩალოს რაიონი** | | | | |
| 1. საჭმელი გოგრა (კვახი) | 1 | — | — | 1 |
| 2. ხახვი თავიანი | 2 | — | — | 2 |
| სულ . . . | 3 | — | — | 3 |
| **თელავის რაიონი** | | | | |
| 1. თვის ბოლოკი | 1 | — | — | 1 |
| 2. გურული ლობიო | 25 | — | — | 25 |
| 3. საზამთრო | 10 | — | — | 10 |
| 4. ნ ე ს ვ ი | 3 | — | — | 3 |
| 5. საჭმელი გოგრა (კვახი) | 1 | — | — | 1 |
| 6. ნ ი ო რ ი | 1,5 | 3,5 | 10 | 15 |
| 7. ჩინური ბოლოკი | — | 5,0 | 3 | 8 |
| სულ . . . | 41,5 | 8,5 | 13 | 63 |
| **ყვარლის რაიონი** | | | | |
| 1. კ ი ტ რ ი | 2 | — | — | 2 |
| 2. ნ ი ო რ ი | — | 6 | 10 | 16 |
| სულ . . . | 2 | 6 | 10 | 18 |
| **ამბროლაურის რაიონი** | | | | |
| 1. კ ი ტ რ ი | 8 | — | — | 8 |
| 2. გურული ლობიო | 150 | — | — | 150 |
| სულ . . . | 158 | — | — | 158 |
| **ვანის რაიონი** | | | | |
| 1. ხახვი თავიანი | 10 | 25 | — | 35 |
| **ქუთაისის რაიონი** | | | | |
| 1 პომიდორი | 3 | — | — | 3 |
| 2. წ ი წ ა კ ა | 2 | — | — | 2 |
| 3. თვის ბოლოკი | — | 4 | 5 | 9 |
| 4. წიწმატი | 0,5 | — | — | 0,5 |
| 5. ისპანახი | — | 3 | 3 | 6 |
| 6. სალათა | — | 2 | 2 | 4 |
| 7. კ ა მ ა | 0,5 | — | — | 0,5 |
| 8. მჟაუნა | — | — | 1 | 1 |
| 9. კაბაჩკი | 2 | — | — | 2 |
| 10. კომბოსტო ადრეული | — | 6 | 5 | 11 |
| 11. პ რ ა ს ა | 5 | 5 | — | 10 |
| 12. საჭმელი სტაფილო | — | 3 | 5 | 8 |
| 13. ნ ი ა ხ უ რ ი | 1 | 0,5 | — | 1,5 |
| 14. ო ხ რ ა ხ უ შ ი | 2 | 3 | — | 5 |
| 15. ზამთრის ბოლოკი | — | 2 | 3 | 5 |
| 16. ჩინური ბოლოკი | — | 3 | — | 3 |
| სულ . . . | 16 | 31,5 | 24 | 71,5 |
| **აფხაზეთის ასსრ** | | | | |
| 1. კომბოსტო ადრეული | — | 45 | — | 45 |
| სულ . . . | 323 | 164,5 | 78 | 565,5 |

მეჩ. 85
ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი 3.

**1935 წელს „გოსსორტფონდში" სავალდებულო ჩაბარებისა და აგრეთვე 1936 წლის მოსავლის თესლისთვის სათესლეების დატოვების ნორმები.**

| კულტურების სახელწოდება | თესლის ჩაბარების ნორმა ცენტნერობით 1 ჰექტარზე | სათესლეების დატოვების ნორმა ათასი ცალობით 1 ჰექტარზე. |
|---|---|---|
| 1. კომბოსტო ადრეული | 1,0 | 28 |
| 2. კომბოსტო ნაგვიანევი | 2,0 | 10 |
| 3. ხახვი თავიანი | 1,5 | 4 |
| 4. საჭმელი ჭარხალი | 5,0 | 47 |
| 5. საჭმელი სტაფილო | 2,0 | 70 |
| 6. პრასა | 1,5 | — |
| 7. პომიდორი | 0,5 | — |
| 8. ბადრიჯანი | 0,5 | — |
| 9. მწარე და ბოლგარული წიწაკა | 0,5 | — |
| 10. ნიორი | 15,0 | — |
| 11. ლობიო | 2,5 | — |
| 12. საჭმელი მუხუდო | 2,5 | — |
| 13. თვის ბოლოკი | 1,5 | — |
| 14. ჩინური და ზამთრის ბოლოკი | 2,5 | — |
| 15. ისპანახი | 2,0 | — |
| 16. სალათა | 1,2 | — |
| 17. ნიახური | 2,0 | — |
| 18. ოხრახოში | 2,0 | — |
| 19. წიწმატი | 2,0 | — |
| 20. მუხრანის კიტრი | 0,8 | — |
| 21. სხვა ჯიშის კიტრი | 1,2 | — |
| 22. საზამთრო | 0,8 | — |
| 23. ნესვი | 0,8 | — |
| 24. საჭმელი გოგრა (კვახი) | 1,2 | — |
| 25. კამა | 2,0 | — |
| 26. კაბაჩკი | 2,0 | — |
| 27. საქონლის საკვები ჭარხალი | 3,0 | — |

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა ნ ა რ თ ი 4.

## ავანსირების ნორმები

| კულტურების სახელწოდება | გრძელვადიანი კრედიტი 1 ჰექტარზე | მოკლევადიანი კრედიტი 1 ცენტნერ ჩასაბარებელ პროდუქციაზე. |
|---|---|---|
| 1. კომბოსტო ნაგვიანევი | 500 | 700 |
| 2. კომბოსტო ადრეული | 1000 | 1000 |
| 3. ხახვი თავიანი | 400 | 1000 |
| 4. პრასა | 400 | 800 |
| 5. ნიორი | 400 | 35 |
| 6. სტაფილო | 300 | 300 |
| 7. ჭარხალი | 200 | 100 |
| 8. ოხრახუში | 300 | 200 |
| 9. ნიახური | 200 | 150 |
| 10. ჩინური ბოლოკი | 300 | 100 |
| 11, საქონლის საკვები ჭარხალი | — | 30 |
| 12. მჟაუნა | 100 | 70 |
| 13. ზამთრის ბოლოკი | 200 | 75 |
| 14. პომიდორი | — | 200 |
| 15. ბადრიჯანი | — | 200 |
| 16. წიწაკა | — | 200 |
| 17. მუხრანის კიტრი | — | 200 |
| 18. სხვა ჯიშის კიტრი | — | 150 |
| 19. თვის ბოლოკი | — | 100 |
| 20. წიწმატი | — | 50 |
| 21. კამა | — | 50 |
| 22. საჭმელი მუხუდო | — | 50 |
| 23. ლობიო | — | 50 |
| 24. კაბაჩკი | — | 50 |
| 25. საზამთრო | — | 50 |
| 26. ნესვი | — | 55 |
| 27. საჭმელი გოგრა (კვახი) | — | 50 |
| 28. ისპანახი | — | 75 |
| 29. სალათა | — | 100 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 86. დადგენილება ს.კ.ს.

**„მეთესლეობისა და 1935 წელს ბოსტნეულ-ბაღჩეული და საქონლის საკვები ფესვნაყოფა კულტურების სათესლეებისათვის თესლისა და ფართობების კონტრაქტაციის თაობაზე" გამოცემული, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. მარტის 2-ის დადგენილების მე-10 მუხლის შეცვლის შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მე-10 მუხლი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. მარტის 2-ის თარიღის და 263 №-ის დადგენილებისა „მეთესლეობისა და 1935 წელს ბოსტნეულ-ბაღჩეული და საქონლის საკვები ფესვნაყოფა კულტურების სათესლეებისათვის თესლისა და ფართობების კონტრაქტაციის შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. № 15, მუხ. 85) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„10. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს მოაგვაროს სამანქანო-სატრაქტორო სადგურების აგროინსტრუქტაჟი კოლექტიურ მეურნეობებში ბოსტნეულ-ბაღჩეული და ფესვნაყოფა კულტურების მეთესლეობის ხაზით და აგრეთვე უზრუნველყოს სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებათა მეშვეობით აგრომომსახურეობის გაწევა მეთესლეობის კოლექტიური მეურნეობებისათვის სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მოქმედების რაიონის გარეშე.

დაევალოს „სახთესლფონდის" საქართველოს რესპუბლიკანურ კონტორას— გაუწიოს სისტემატურად დახმარება სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს მეთესლეობის კოლექტიური მეურნეობებისათვის აგრომომსახურეობის გაწევის საქმეში."

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი.**

1935 წ. აპრილის 3. № 432.
ტფილისი.

---

## 87. დადგენილება ს.კ.ს.

**1935 წლის მოსავლის ახალზეთოვანი კულტურების კონტრაქტაციის გეგმის შესახებ.**

„ახალზეთოვანი კულტურების კონტრაქტაციის შესახებ" გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. აპრილის 3-ის თარიღის და 579 №-ის დადგენილებისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. აპრილის 17-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. დამტკიცებულ იქნას გეგმა 1935 წლის მოსავლის ახალზეთოვანი კულტურების სავალდებულო სახელმწიფო კონტრაქტაციისა საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში და ერთპიროვნულ მეურნეობებში შემდეგი რაოდენობით (ცენტნერობით):

| | ს უ ლ | აქედან სახჯიშფონდი |
|---|---|---|
| სოია . . . . . . . . . . . . | 67.800 | 1.550 |
| არახისი . . . . . . . . . . | 1.699 | 1.609 |
| პერილა . . . . . . . . . . | 552 | 250 |

2. დამტკიცებულ იქნას ამასთანავე დართული რაიონობითი გეგმა ახალზეთოვანი კულტურების კონტრაქტაციისა და ჩაბარების ნორმები ერთ ჰექტარზე ცალკეული რაიონებისა და სექტორების მიხედვით (იხ. დანართი).

3. წინადადება მიეცეთ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—დაადიფერენცონ გეგმაში აღნიშნული საშუალო ნორმები ერთ ჰექტარზე ამ კულტურების ჩაბარებისა ცალკეულ კოლექტიურ მეურნეობებსა და სოფლებში, ხოლო ისე კი, რომ დასაკონტრაქტებელი პროდუქცია მთლად რაიონში შეესაბამებოდეს ამა დადგენილებით გათვალისწინებულ რაოდენობას.

4. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს არა უგვიანეს 1935 წ. აპრილის 23-ისა განიხილონ, დაამტკიცონ და მიაწვდინონ კოლმეურნეობებამდე და სოფლის საბჭოებამდე ახალზეთოვანი კულტურების კონტრაქტაციის გეგმები; ამასთანავე, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულმა საქ. სსრ-ში მეთვალყურეობა უნდა გაუწიოს ახალზეთოვანი კულტურების გეგმების მთესველებამდე მიწვდენას ამა დადგენილებით გათვალისწინებულ ვადაზე.

5. ახალზეთოვანი კულტურების კონტრაქტაციის ჩატარება დაეკისროს სრულიად საკავშირო შენაერთის „ზაგოტზერნოს" საქართველოს კონტორას, ცეკავშირის პურვაჭრობის კონტორას (საქ. "ზაგოტზერნო"-სთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე) და „საქმეთესლკავშირს".

6. დაევალოს სრულიად საკავშირო შენაერთის „ზაგოტზერნოს" საქართველოს კონტორას, ცეკავშირის პურვაჭრობის კონტორას და „საქმეთესლკავშირს" ახალზეთოვანი კულტურების კონტრაქტაცია დაიწყონ აპრილის 28-დან და საკონტრაქტაციო ხელშეკრულების დადების მთელი მუშაობა დაამთავრონ არა უგვიანეს 1935 წ. მაისის 19-ისა.

7. 1935 წლის მოსავლის ახალზეთოვან კულტურებზე დაწესებულ იქნას შემდეგი დასამზადებელი ფასები ცენტნერობით: სოია — 47 მან., არახისი—155 მან., პერილა—70 მან.

8. დაწესებულ იქნას 1935 წელს ფულადი ავანსების მიცემა კოლმეურნეობებისათვის ყოველ დაკონტრაქტებულ ცენტნერ პროდუქციაზე შემდეგი რაოდენობით: სოიაზე—20 მან., არახისზე—80 მან., პერილაზე—30 მან.

 მუხ. 87
ეროვნული

ავანსები გაიცეს ორ ვადაზე: 50%—საკონტრაქტაციო ხელშეკრულე-ბაზე ხელის მოწერისას, ხოლო დანარჩენი 50%—პირველი გათოხვნის ჩატარე-ბის შემდეგ.

9. დაწესებულ იქნას 1935 წელს სოიას, არახისის და პერილის ჩამბარებ-ლებისათვის მცენარეული ზეთის მიცემა მტკიცე სახელმწიფო ფასად თვითეულ ჩაბარებულ ცენტნერზე შემდეგი რაოდენობით (კილოგრამებად):

| | კოლმეურ-ნეობებს | ერთპიროვნულ მეურნეობებს |
|---|---|---|
| სოიაზე . . . . . . . . . . . . | 2 | 1,5 |
| არახისზე . . . . . . . . . . . | 5 | 4 |
| პერილაზე . . . . . . . . . . . | 5 | — |

10. კონტრაქტანტ-კოლმეურნეობებს მცენარეული ზეთი მიეცეთ სასოფ-ლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის სარაიონო რწმუნე-ბულებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა მოად-გილეების (დამზადებათათვის) უშუალო კონტროლით და „სახჯიშფონდის“, „ზა-გოტზერნოს“ და სამომხმარებლო კოოპერაციის დამმზადებელი პუნქტების მე-შვეობით ორ ვადაზე: 50%—თესვის დამთავრების შემდეგ, ხოლო დანარჩენი 50%—საკონტრაქტაციო ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისას.

ერთპიროვნულ კონტრაქტანტ-მეურნეობებს მცენარეული ზეთი მიეცეთ დაკონტრაქტებული პროდუქციის ჩაბარების ვალდებულების ვადაზე მთლიანად შესრულებისას.

11. დაწესებულ იქნას, რომ იმ კოლმეურნეობებს, რომლებიც გადაჭარბებით შეასრულებენ მათთვის კონტრაქტაციით დაწესებულ სოიას, არახისის და პერი-ლის ჩაბარების გეგმებს, უნდა მიეცეთ გეგმის ზედმეტად ჩაბარებულ რაოდე-ნობაზე პრემია-წანამატი დაწესებულ დასამზადებელ ფასებზე შემდეგი რაო-დენობით:

ა) ჩაბარებისათვის დაწესებული გეგმის გადაჭარბებით შესრულებისას ერთ ჰექტარზე არა უმეტეს ვიდრე 0,5 ცენტნერით, გეგმის ზედმეტად ჩაბარებულ ყოველ ცენტნერზე კოლმეურნეობები იღებენ პრემია-წანამატს არსებული და-სამზადებელი ფასის 25%-ის რაოდენობით;

ბ) ჩაბარებისათვის დაწესებული გეგმების გადაჭარბებით შესრულებისა-თვის ერთ ჰექტარზე 0,5 ცენტნერ ზევით, ხოლო არა უმეტეს 1 ცენტნერისა, გეგმის ზედმეტად ჩაბარებულ ყოველ ცენტნერზე კოლმეურნეობები იღებენ პრე-მია-წანამატს არსებული სადამზადებლო ფასის 50%-ის რაოდენობით;

## გეგმა 1935 წლის ახალზეთოვანი კულტურების კონტრაქტაციისა

| რაიონები | დასაკონტრაქტებ. რაოდ. ცენტნერებ-ში | სოია სასაქონლო — ჩაბარ. ნორმ. ჰექტ. ცენტნერობით — კოლმეურ-ნეობები | სოია სასაქონლო — ჩაბარ. ნორმ. ჰექტ. ცენტნერობით — ერთპირ. მეურნ. | სოია სახჯიშ. — დასაკონტრ. რაოდ. ცენტნ. | სოია სახჯიშ. — ჩაბარებ. ნორმა ჰექტარ. ცენტნ. კოლმეურნეობ. | არახისი სახჯიშ. — ჩაბარებ ნორმ. ჰექტ. ცენტნერობით — დასაკონტ. რაოდ. ცენტნ. | არახისი სახჯიშ. — კოლმეურ-ნეობ. | არახისი სახჯიშ. — ერთპირ. მეურნ. | პერ. სასაქონ — დასაკონტრ. რაოდ. ცენტნ. | პერ. სასაქონ — ჩაბარებ. ნორმა ჰექტარ. ცენტნ. კოლმეურნ. | პერ. სახჯიშ. — დასაკონტრ. რაოდ. ცენტნ. | პერ. სახჯიშ. — ჩაბარ. ნორმა ჰექტ. ცენტნ. კოლმეურნ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ქუთაისი | 5910 | 2,6 | 2,9 | 520 | 2,5 | 350 | 2,8 | 3,0 | — | — | 90 | 2,0 |
| 2. სამტრედია | 4690 | " | " | — | — | — | — | — | 80 | 2,0 | — | — |
| 3. ხ ო ნ ი | 3930 | — | " | — | — | — | — | — | 40 | 2,0 | — | — |
| 4. ვ ა ნ ი | 2780 | " | " | — | — | — | — | — | 40 | 2,0 | — | — |
| 5. ბაღდადი | 1590 | 2,4 | 2,7 | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 6. ზესტაფონი | 3940 | 2,5 | 2,9 | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 7. ჩ ხ ა რ ი | 3940 | " | " | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 8. ჭიათურა | 3000 | 2,5 | " | 250 | 2,5 | — | — | — | — | — | — | — |
| 9. ხარაგოული | 2170 | — | — | — | — | | | | | | | |
| 10. ტყიბული | 1080 | 1,7 | 2,0 | | | | | | | | | |
| 11. ა ბ ა შ ა | 6610 | 2,6 | 2,9 | — | — | 286 | 2,8 | 3,0 | — | — | 70 | 2,0 |
| 12. ს ე ნ ა კ ი | 6610 | — | — | — | — | 350 | 2,8 | 3,0 | | | 50 | 2,0 |
| 13. მარტვილი | 3560 | — | | | | | | | 26 | 2,0 | | — |
| 14. ზუგდიდი | 2130 | — | | 780 | 2,6 | 713 | 2,8 | 3,0 | | | 40 | 2,0 |
| 15. ხ ო ბ ი | 3650 | — | — | — | — | — | — | — | 16 | 2,0 | — | — |
| 16. წალენჯიხი | 1020 | 2,4 | 2,4 | | | | | | | | | |
| 17. ჩხოროწყუ | 1570 | | | | | | | | | | | |
| 18. მახარაძე | 1820 | 2,6 | 2,9 | | | | | | | | | |
| 19. ლანჩხუთი | 3180 | | | | | | | | | | | |
| 20. ჩოხატაური | 1680 | 2,4 | 2,7 | | | | | | | | | |
| 21. აჭარისტანი | 910 | 2,6 | 2,9 | | | | | | | | | |
| 22. აფხაზეთი | | | | | | | | | 70 | 2,0 | | |
| ს უ ლ | 66270 | 2,55 | 2,86 | 1555 | 2,58 | 1699 | 2,8 | 3,0 | 302 | 2,0 | 250 | 2,0 |



ცხრ. 87

№ 15
ეროვნული ბიბლიოთეკა

## 88. დადგენილება ს.კ.ს. და ს.კ.პ. (ბ) ც.კ.

**1935 წლის მოსავლის ნედლი წიპწოვანი (თესლოვანი) ხილისა, ჩირისა, თხილის: და კურკოვანი ხილის სავალდებულო სახელმწიფო კონტრაქტაციის და დამზადების შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. ივლისის 2-ის დადგენილების შესაბამისად, კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და ინდივიდუალური მეურნეობების დასაინტერესებლად მეხილეობის განვითარებაში და მოსავლიანობის გასადიდებლად, დაწესებულ იქნას კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და ინდივიდუალური მეურნეობებისათვის კონტრაქტაციით პროდუქციის ჩაბარების მტკიცე ნორმები.

2. დამტკიცებულ იქნას შემდეგი რაოდენობითი ნორმები წიპწოვანი ხილის ჩაბარებისა ორი წლით და კურკოვანი ხილის და თხილის ჩაბარებისა ერთი წლით, სექტორებზე დანაწილებით და ტონობით ერთ ჰექტარზე:

| | წიპწოვანი ხილი | | კურკოვანი ხილი | თხილი |
|---|---|---|---|---|
| | I ჯგუფი | II ჯგუფი | | |
| კოლექტიური მეურნეობებისათვის | 3,5 | 2,7 | 2,5 | 0,40 |
| კოლმეურნეთათვის იმ კოლმეურნეობებში, რომელთაც აქვთ განსაზოგადოებული ნარგავები . . | 3,0 | 2,2 | 2,0 | 0,30 |
| კოლმეურნეთათვის იმ კოლმეურნეობებში, რომელსაც არა აქვთ განსაზოგადოებული ნარგავი . | 3,2 | 2,4 | 2,2 | 0,35 |
| ერთპიროვნული მეურნეობებისათვის . . . . . . . . . . | 4,0 | 3,0 | 2,3 | 0,50 |

3. დამტკიცებულ იქნას რაიონობითი სახელმწიფო გეგმა 1935 წლის მოსავლის წიპწოვანი ხილის კონტრაქტაციის და დამზადების 17.800 ტონის რაოდენობით, კურკოვანი ხილისა—2.350 ტონის რაოდენობით, თხილისა—630 ტონის რაოდენობით და ჩირისა—200 ტონის რაოდენობით; აქედან—შავი ქლიავი 100 ტონა (იხ. დანართი 2).

4. წინადადება მიეცეს პარტიის რაიონულ კომიტეტებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს დაადეფერენცონ ხილისა და თხილის ჩაბარების საშუალო რაოდენობითი ნორმები კოლექტიურ მეურნეობებსა და სოფლებზე—ისეთი ვარაუდით, რომ ამა დადგენილებით განსაზღვრული, დამზადების სახელმწიფო გეგმა შესრულებული იქნას სავსებით.

მუხ. 88/
ეროვნული
ბიბლიოთეკა

5. ნება დაერთვას ძირითად დამმზადებლებს—დამზადების სახელმწიფო გეგმის შესრულებისას, აწარმოონ მათზე მიმაგრებულ რაიონებში ნედლი წიპწოვანი ხილის, ჩირის, თხილისა და კურკოვანი ხილის დეცენტრალიზებული წესით დამზადება და ეს პროდუქცია გამოიყენონ ნედლად რეალიზაციისა და გადამუშავებისათვის.

6. კონტრაქტანტების ავანსირების რაოდენობა განისაზღვროს: ნედლი წიპწოვანი ხილისათვის—200 მან., კურკოვანი ხილისათვის—250 მან., ჩირისა და თხილისათვის—400 მან. თვითეულ დაკონტრაქტებულ ტონა პროდუქციაზე. დაევალოს ძირითად დამმზადებლებს გასცენ ავანსები: ხელშეკრულების დადებისას—50 პროცენტის რაოდენობით და მოსავლიანობის გამორკვევისას (გამონასკვის მიხედვით)—დანარჩენი 50 პროცენტის რაოდენობით.

7. დაევალოს ძირითად დამმზადებლებს—დაამთავრონ ნედლი წიპწოვანი ხილის, ჩირის, თხილისა და კურკოვანი ხილის სავალდებულო სახელმწიფო კონტრაქტაციის ჩატარება არა უგვიანეს ა/წ. ივნისის 10-ისა, ხოლო ქუთაისისა და სამტრედიის რაიონებში—არა უგვიანეს მაისის 20-ისა.

8. წინადადება მიეცეს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ორგანოების და ძირითადი დამმზადებლების მონაწილეობით, გამოარკვიოს, თვითეულ ცალკე რაიონში კონტრაქტაციის ჩატარებისთანავე, რა პირი უჩანს მოსავალს ნაყოფის გამონასხის მიხედვით, და, ამისდაშესაბამისად, დაამტკიცოს ხილისა და თხილის სავალდებულო სახელმწიფო კონტრაქტაციით ჩაბარების ვადები.

9. მიენდოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში და საქართველოს სსრ შინავაჭრობის სახალხო კომისარიატს—შემოიტანონ ერთი თვის ვადაზე საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში განსახილველად სავალდებულო სახელმწიფო კონტრაქტაციის წესით მისაღები, 1935 წლის მოსავლის ნედლი წიპწოვანი ხილის, თხილისა და კურკოვანი ხილის გამოყენების გეგმა.

10. მიენდოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში გამოსცეს 3 დღის ვადაზე ინსტრუქცია ამა დადგენილების ჩატარების წესის შესახებ.

საქ სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ კ. პ. (ბ) ც.კ-ის მდივანი **ლ. ბერია.**

1935 წ. მაისის 8. № 570/.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი 1.

## წიპწოვანი ხილის ჩაბარების რაიონობითი ნორმები

(ტონობით ერთ ჰექტარზე)

| რაიონები | კოლექტიური მეურნეობანი. | კოლმეურნენი იმ კოლექ. მეურნ., რომელ. აქვთ განსაზ. ნარგავები | კოლმეურ იმ. კოლექტ. მეურნ., რომელ. არა აქვთ განსაზოგად. ნარგავები. | ერთპიროვნული მეურნეობანი |
|---|---|---|---|---|
| ახალციხის რაიონი | 3,5 | 3,0 | 3,2 | 4,0 |
| ადიგენის " | 3,5 | 3,0 | 3,2 | 4,0 |
| ასპინძის " | 3,5 | 3,0 | 3,2 | 4,0 |
| ხაშურის " | 2,7 | 2,2 | 2,4 | 3,0 |
| გორის " | 3,5 | 3,0 | 3,2 | 4,0 |
| კასპის " | 3,5 | 3,0 | 3,2 | 4,0 |
| ტფილისის " | 2,7 | 2,2 | 2,4 | 3,0 |
| ქუთაისის " | 3,5 | 3,0 | 3,2 | 4,0 |
| სამტრედიის " | 3,5 | 3,0 | 3,2 | 4,0 |
| ვანის " | 2,7 | 2,2 | 2,4 | 3,0 |
| ხორაგოულის " | 2,7 | 2,2 | 2,4 | 3,0 |
| ტყიბულის " | 3,5 | 3,0 | 3,2 | 4,0 |
| ცაგერის " | 2,7 | 2,2 | 2,4 | 3,0 |
| ზუგდიდის " | 2,7 | 2,2 | 2,4 | 3,0 |
| ოზურგეთის " | 2,7 | 2,2 | 2,4 | 3,0 |
| ლანჩხუთის " | 2,7 | 2,2 | 2,4 | 3,0 |
| ჩოხატაურის " | 2,7 | 2,2 | 2,4 | 3,0 |
| აჭარისტანის ასსრ | 2,7 | 2,2 | 2,4 | 3,0 |
| აფხაზეთის ასსრ | 2,7 | 2,2 | 2,4 | 3,0 |
| სამხრეთ-ოსეთის ა/ო | 3,5 | 3,0 | 3,2 | 4,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი 2

## 1935 წ. მოსავლის ხილისა, ჩირისა და თხილის დამზადების სახელმწიფო გეგმა

(ტონობით)

| ძირითადი დამზადებელნი და დამზადების რაიონები | წიპწოვანი (თესლოვანი) | კურკოვანი | თხილი | ჩირი |
|---|---|---|---|---|
| „საქკონსერვხილბოსტანი“ | | | | |
| ახალციხის რაიონი . . . . . | 1.000 | 50 | — | — |
| გორის „ . . . . . | 8.000 | 550 | — | 10 |
| ქუთაისის „ . . . . . | 800 | 500 | — | — |
| სამტრედიის „ . . . . . | 250 | 400 | — | — |
| ტყიბულის „ . . . . . | 500 | 150 | — | 50 |
| ზუგდიდის „ . . . . . | 150 | 30 | 200 | — |
| ჩოხატაურის „ . . . . . | 350 | 150 | 50 | — |
| ოზურგეთის „ . . . . . | — | — | 180 | — |
| | 11.050 | 1.830 | 430 | 60 |
| სამომხმარებლო კოოპერაცია | | | | |
| ადიგენის რაიონი . . . . . | 1.100 | — | — | 10 |
| ასპინძის „ . . . . . | 500 | — | — | — |
| ხაშურის „ . . . . . | 500 | 20 | — | — |
| კასპის „ . . . . . | 200 | 150 | — | — |
| ტფილისის „ . . . . . | 100 | — | — | — |
| ლუქსემბურგის „ . . . . . | — | 150 | — | — |
| ვანის „ . . . . . | 250 | — | — | 20 |
| ხორაგოულის „ . . . . . | 100 | — | — | — |
| ცაგერის „ . . . . . | 200 | — | — | — |
| ოზურგეთის „ . . . . . | 500 | 50 | — | — |
| ლანჩხუთის „ . . . . . | 200 | 50 | — | — |
| | 3.750 | 420 | — | 30 |
| აჭარისტანის ასსრ . . . . . . . | 700 | 50 | — | — |
| აფხაზეთის ასსრ . . . . . . . . | 1.200 | 50 | 200 | 100 |
| სამხრეთ-ოსეთის ავ . . . . . . | 1.100 | — | — | 10 |
| | 3.000 | 100 | 200 | 110 |
| | 17.000 | 2.350 | 630 | 200 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 89. დადგენილება ს.კ.ს.

## კალიასთან და მჭედელასთან ბრძოლის ჩატარების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. კალიასთან და მჭედელასთან ბრძოლის სამუშაოთა მოცულობა განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით: მაროკოს კალიასთან—1.000 ჰექტარზე, იტალიურ კალიასთან—13.100 ჰექტარზე და მჭედელასთან—10.900 ჰექტარზე, სულ—25.000 ჰექტარზე.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს დაყოს წინა მუხლში აღნიშნული ფართობები კალიათი და მჭედელათი მოდებულ რაიონებზე.

3. ამ ფართობებიდან დამუშავებულ იქნას მიწისზედაპირული მეთოდით მტყუებით—21.300 ჰექტარი, სხურებით—1.000 ჰექტარი და ავიომეთოდით 2.700 ჰექტარი.

4. კალიასთან და მჭედელასთან ბრძოლის სამუშაოების ერთიანი ხელმძღვანელობის დასამყარებლად დანიშნულ იქნას საქართველოს სსრ-ში კალიასთან და მჭედელასთან ბრძოლის საქმეთა საგანგებო რწმუნებულად ამხ. მათიკაშვილი და მის მოადგილედ ამხ. ნამგალაძე.

დანიშნულ იქნას სარაიონო საგანგებო რწმუნებულებად შემდეგი ამხანაგები: სიღნაღის რაიონში—სიღნაღის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ალავერდაშვილი, გურჯაანის რაიონში—გურჯაანის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ოქროპირიძე, საგარეჯოს რაიონში—საგარეჯოს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. მთვრალიშვილი და ყვარლის რაიონში—ყვარლის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. თანდილაშვილი.

5. წინადადება მიეცეს სიღნაღისა, გურჯაანისა, საგარეჯოს, ყვარლისა, ბორჩალოს, ყარაიას და ტფილისის რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—ჩაატარონ, კალიასთან და მჭედელასთან ბრძოლისათვის საჭირო მუშაობის წარმატებით განხორციელების მიზნით, აგროტექნიკური პერსონალისა, მუშა-ხელისა, ინვენტარისა, ჭაპანზიდვის ტრანსპორტისა და ავტომანქანების მობილიზაცია საჭირო რაოდენობით და აგრეთვე უზრუნველყონ სასოფლო საბჭოების უშუალო და აქტიური მონაწილეობა კალიასთან და მჭედელასთან ბრძოლის საქმეში.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ შინავაჭრობის სახალხო კომისარიატს—უზრუნველყოს კალიასთან და მჭედელასთან ბრძოლისათვის მობილიზებულ მომუშავეთა მომარაგება სურსათით, დამტკიცებული ნორმების მიხედვით, და აგრეთვე უზრუნველყოს კალიასთან ბრძოლის სამუშაოები ინვენტარით საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის განაცხადების თანახმად, გამოყოს-რა სურსათი და ინვენტარი არა უგვიანეს 1935 წ. აპრილის 10-ისა.

7. წინადადება მიეცეს სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში მოახდინოს განკარგულება კალიასთან ბრძოლის შესახები კორესპონდენციის და დეპეშების რიგს გარეშე მიღებისა, გაგზავნისა და ჩაბარების შესახებ.

8. ეთხოვოს ამიერკავკასიის რკინის გზების სამმართველოს მოახდინოს განკარგულება ხაზზე კალიასთან საბრძოლველად დანიშნული ტვირთისათვის ვაგონების რიგს გარეშე მიცემისა და ტვირთის დაჩქარებით წარგზავნის შესახებ და აგრეთვე კალიასთან ბრძოლის მწარმოებელი ტექნიკური პერსონალისათვის რიგს გარეშე ბილეთების მიცემის შესახებ.

საქ სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მაგ. ვ. ლუნკევიჩი.

1935 წ. აპრილის 2. № 430.
ტფილისი.

---

## ვაჭრობა. მომარაგება.

### 90. დადგენილება. ს.კ.ს.

**სამინდე გამოსაღების განაკვეთების შესახებ.**

სამინდე გამოსაღების შესახებ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. მარტის 4-ის და 348 №-ის დადგენილებისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. მარტის 14-ის თარიღის და 80 №-ის დადგენილებების თანახმად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნას მარცვლეული, საფურაჟე და ზეთოვანი კულტურების სასოფლო-სამეურნეო წისქვილებზე გადამუშავებისათვის სამინდე გამოსაღების შემდეგი განაკვეთები კილოგრამობით თვითეული ცენტნერზე:

1. ხორბლის ჩვეულებრივი დაფქვისათვის:

განსაზოგადოებული სექტორისათვის . . . . . . 7 კგ.
ერთპიროვნული მეურნეობებისათვის . . . . . . 8 „
კულაკური მეურნეობებისათვის . . . . . . . . 9 „

2. ხორბლის ხარისხოვანი 80-85% დაფქვისათვის:

განსაზოგადოებული სექტორისათვის . . . . . . 10 კგ.
ერთპიროვნული მეურნეობებისათვის . . . . . . 11 „
კულაკური მეურნეობებისათვის . . . . . . . 12,5 „

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ქერის ჩვეულებრივი დაფქვისათვის:

განსაზოგადოებული სექტორისათვის . . . . . . 8 კგ.
ერთპიროვნული მეურნეობებისათვის . . . . . . 9 „
კულაკური მეურნეობებისათვის . . . . . . . . 10 „

4. სიმინდის ჩვეულებრივი დაფქვისათვის:

განსაზოგადოებული სექტორისათვის . . . . . . 10 კგ.
ერთპიროვნული მეურნეობებისათვის . . . . . . 11 „
კულაკური მეურნეობებისათვის . . . . . . . . 12,5 „

5. ზეთოვანი თესლის ზეთად გამოხდისათვის:

განსაზოგადოებული სექტორისათვის . . . . . . 16,5 კგ.
ერთპიროვნული მეურნეობებისათვის . . . . . . 18,5 „
კულაკური მეურნეობებისათვის . . . . . . . . 21 „

2. დაევალოს წისქვილების პატრონებს შემოსული სამინდე გამოსაღები მთლად ჩააბარონ მხოლოდ "ზაგოტზერნო"-ს და სამომხმარებლო კოოპერაციის სასადგურო და სანავთსადგურო დამამზადებელ პუნქტებს.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. მაისის 8. № 568.

ტფილისი.

---

## 91. დადგენილება ს.კ.ს.

**1935 წლის მოსავლის მოცვის ფოთლის დამზადებისა და განაწილების გეგმის შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის საქართველოს რწმუნებულის მიერ წარმოდგენილი გეგმა მოცვის ფოთლის დამზადებისა 650 ტონის რაოდენობით (რაიონებისა და კვარტალების მიხედვით; განაწილება იხ. დანართი 1).

2. მოცვის ფოთლის ერთად-ერთ დამამზადებლად საქართველოში, გარდა სტალინისის რაიონისა, სადაც დამზადებას სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის სასწავლო-საწარმოო და საწარმოო წამოწყებათა სამმართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველი (ბრმათა ყოფ. საზოგადოება) აწარმოებს, და ტყიბულის რაიონში, სადაც 40 ტონა ფოთლის დამზადებას აწარმოებს ტყიბულის რაიკომბინატი, ცნობილ იქნას „საქხილბოსტანი", რომელიც მის მიერ დამზადებულ მოცვის ფოთლიდან 400 ტონა ფოთოლს გადასცემს „ცენტროსოიუზს", ხოლო 100 ტონას დაიტოვებს თავისთვის.

3. წინადადება მიეცეს „საქხილბოსტანს" დაუყოვნებლივ შეუდგეს საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა დადებას კოლმეურნეობებთან, კოლმეურნეებთან და ერთპიროვნულ მშრომელ მეურნეობებთან მოცვის ფოთლის დამზადება-ჩაბარების შესახებ და ამ მიზნით გაშალოს ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა და სახელშეკრულებო კამპანია დაამთავროს არა უგვიანეს 1935 წლის აპრილის 1-ისა.

4. არსებული დასამზადებელი ფასი 2 მან. 50 კაპ. კილოგრამ გამხმარ მოცვის ფოთოლზე უცვლელად დარჩეს 1935 წლისათვის.

5. დამტკიცებულ იქნას სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის საქართველოს რწმუნებულის მიერ წარმოდგენილი პროექტი „საქხილბოსტანის" მიერ დამზადებული მოცვის ფოთლის განაწილებისა თანდართული ცხრილის მიხედვით (იხ. დანართი 2).

6. წინადადება მიეცეს "საქხილბოსტანს" და იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ჩამოთვლილია წინა მუხლში აღნიშნულ ცხრილში, ერთი დეკადის ვადაზე დასდონ ხელშეკრულებები მოცვის ფოთლის მიღება-ჩაბარების შესახებ.

7. კეთილხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების მიზნით, წინადადება მიეცეს მოცვის ფოთლის გადამმუშავებელ ყველა ორგანიზაციას შეუთანხმდეს „საქართველოს ჩაის" ჩაის ფაბრიკებში ამ ფოთლის გადამუშავება-ფერმენტაციის შესახებ.

საქ. სსრ ს.კ.ს ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

**1935 წ. მარტის 5. № 297.**

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი 1.

## მოცვის ფოთლის დამზადების გეგმა 1935 წლისათვის

(ტონობით)

| რაიონების დასახელება | დამზადების გეგმა | მათ შორის | | |
|---|---|---|---|---|
| | | II კვარ-ტალი | III კვარ-ტალი | IV კვარ-ტალი |
| 1. სტალინისი . . . . . | 30 | 12 | 12 | 6 |
| 2. ხორაგოული . . . . | 80 | 32 | 32 | 16 |
| 3. ჭიათურა . . . . . . | 200 | 80 | 80 | 40 |
| 4. ზესტაფონი . . . . . | 60 | 24 | 24 | 12 |
| 5. ჩხარი . . . . . . . | 25 | 10 | 10 | 5 |
| 6. ქუთაისი . . . . . . | 55 | 22 | 22 | 11 |
| 7. ბაღდადი . . . . . | 25 | 10 | 10 | 5 |
| 8. ცაგერი . . . . . . | 20 | 8 | 8 | 4 |
| 9. ამბროლაური . . . . | 25 | 10 | 10 | 5 |
| 10. ვ ა ნ ი . . . . . . | 10 | 4 | 4 | 2 |
| 11. ო ნ ი . . . . . . . | 5 | 2 | 2 | 1 |
| 12. ტყიბული . . . . . | 100 | 40 | 40 | 20 |
| 13. აჭარისტანი . . . . | 15 | 6 | 6 | 3 |
| ს უ ლ . . . . . . | 650 | 260 | 260 | 130 |

დანართი 2.

## მოცვის ფოთლის განაწილება ორგანიზაციათა შორის

| ორგანიზაციათა დასახელება | რაოდენობა (ტონობით) |
|---|---|
| 1. ცენტროსოიუზი . . . . . . . . | 400 |
| 2. საქხილბოსტანი . . . . . . . . | 100 |
| 3. ღარებკომი . . . . . . . . . . | 30 |
| 4. კვებმრეწვკავშირი . . . . . . . | 30 |
| 5. ტყიბულის რაიკომბინატი . . . . | 40 |
| 6. სოცუზრუნველყოფის სახკომისარიატის სასწ.-საწარმოო და საწარმოო წამოწყებათა სამმართველო . . . | 50 |
| ს უ ლ . . . . | 650 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 92. დადგენილება ს.კ.ს

**„საგზაო მშენებლობაში საბჭოთა მეურნეობების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მონაწილეობისა და გზების დაცვის შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ნოემბრის 22-ის დადგენილების მე-2 მუხლის განმარტების შესახებ.**

„საგზაო მშენებლობაში საბჭოთა მეურნეობების და სატრაქტორო სადგურების მონაწილეობისა და გზების დაცვის შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ნოემბრის 22-ის დადგენილების (კან. კრ. 1933 წ. № 1, მუხ. 17) მე-2 მუხლის განსავითარებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საგზაო ორგანოები, მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით საგზაო მშენებლობის გეგმის შედგენის დროს, განსაზღვრავენ საბჭოთა მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მონაწილეობის ფარგლებს და შეუთანხმებენ ამ საკითხს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და სხვა ცენტრალურ ორგანოებს, რომელთა გამგებლობაშიაც იმყოფებიან სათანადო საბჭოთა მეურნეობები.

2. საგზაო მშენებლობის დამტკიცებული გეგმის საფუძველზე საგზაო ორგანოები სდებენ სათანადო საბჭოთა მეურნეობებთან და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებთან ხელშეკრულებებს ამ უკანასკნელთა საგზაო მშენებლობაში მონაწილეობის კონკრეტული ფორმებისა და ვადების შესახებ.

საქ სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წლის თებერვლის 26. № 228.
ტფილისი.

---

# ფინანსები

## 93. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

**1935 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სსრ-ის 1935 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალ-გასავლის ჯამი დამტკიცებულ იქნას 371.803,3 ათასი მანეთის საბალანსო თანხით და შემდეგ თანხებად:

## შემოსავალი

| | | |
|---|---|---|
| ბრუნვის გადასახადი და საბიუჯეტო წანაფასები . | 264.268,0 | ათასი მანეთი |
| მოგების ანარიცხები . . . . . . . . . . . . . | 8.937,3 | " " |
| სხვადასხვა გადასახადი განსაზოგადოებული მეურნ . | 8.279,0 | " " |
| სრულიად საკავშირო პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭოს და პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური კომიტეტებისაგან სოციალური დაზღვევის სახსრიდან ჯანმრთელობის დაცვისათვის მიღებული შემოსავალი . . . . . | 23.666,0 | " " |
| მოსახლეობის სახსრის მობილიზაცია . . . . . . | 65.765,0 | " " |
| სხვადასხვა შემოსავალი . . . . . . . . . . . . | 888,0 | " " |

## გასავალი

| | | |
|---|---|---|
| 1) სახალხო მეურნეობის დაფინანსება . . . . | 71.910,0 | ათასი მანეთი |
| აქედან: | | |
| ა) მძიმე მრეწველობა . . . . . . . . . . | 13.029,3 | " " |
| ბ) მსუბუქი მრეწველობა . . . . . . . . . | 8.664,6 | " " |
| გ) კინო-ფოტო-მრეწველობა . . . . . . . . | 5.796,1 | " " |
| დ) სატყეო მრეწველობა . . . . . . . . . | 2.362,9 | " " |
| ე) საჭამადო მრეწველობა . . . . . . . . | 1.198,0 | " " |
| ვ) სასოფლო მეურნეობა . . . . . . . . . | 16.258,0 | " " |
| ტრესტირებული საბჭოთა მეურნეობანი 9.142,8 ათასი მან., „სასოფ. სამმართველოება" 634,5 ათასი მან., მიწ. სახ. კ-ტის სახელმწიფო ღონისძიებანი 2.950,7 ათასი მან., წყალთა მეურნეობა 3.530 ათასი მანეთი. | | |
| ზ) კომუნალური მეურნეობა . . . . . . . | 2.695,0 | ათასი მანეთი |
| თ) სახელმწიფო ვაჭრობა . . . . . . . . | 7.670,0 | " " |
| ი) საგზაო მეურნეობა . . . . . . . . . . | 4.020.0 | " " |
| კ) სხვა ხარჯები სახალხო მეურნეობის დაფინანსებისათვის . . . . . . . . . . | 10.216,0 | " " |
| 2) სოციალურ-კულტურული ღონისძიებანი . . | 106.537,5 | " " |
| ა) განათლება . . . . . . . . . . . . . | 79.533,8 | " " |
| ბ) ჯანმრთელობის დაცვა (უკურორტებოდ) . | 17.776,2 | " " |
| გ) კურორტები . . . . . . . . . . . . . | 7.000,0 | " " |
| დ) ფიზიკური კულტურა . . . . . . . . . | 441,5 | " " |
| ე) სოც. უზრუნველყოფა და შრომის დაცვა | 1.781,0 | " " |
| 3) მმართველობა, სახალხო მეურნეობის რეგულირება და სოციალურ-კულტურული მუშაობის ადმინისტრირება . . . . . . . . . . . . | 6.877,0 | " " |

მუხ. 93
ეროვნული

4) სახალხო კომისართა საბჭოს სარეზერვო. ფონდი 750,0 ათასი მანეთი
5) სხვა ფონდები . . . . . . . . . . . . . . . 1.910,6 „ „
6) ადგილობრივი ბიუჯეტისთვის გადასაცემი
სახსარი . . . . . . . . . . . . . . . . 183.818,2 „ „
აქედან: სოც. დაზღვევის სახსარი ჯანმრთელობის დაცვისათვის . . . . . . . . . 17.108,0 „ „

2. საქართველოს სსრ-ის ერთიან სახელმწიფო ბიუჯეტში გადასადები ბრუნვის გადასახადის ანარიცხები და საბიუჯეტო წანაფასები განისაზღვროს 262. 783,0 ათასი მან. თანხად; აქედან: ადგილობრივ ბიუჯეტში გადასადები ბრუნვის გადასახადის ანარიცხები 99.487,2 ათასი მან.

3. დაწესებულ იქნას 1935 წლისათვის შემოსული გადასახადებისა და გამოსაღებების შემდეგი განაწილება ბიუჯეტებს შორის:

ა) შემოსული სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, რაც გატარებულ უნდა იქნას საქართველოს სსრ ბიუჯეტში ტრანზიტად, მთლად გადაეცეს ადგილობრივ ბიუჯეტს;

ბ) საქართველოს სსრ ტერიტორიაზე შემოსული, ქალაქებში საბინაო და კულტურული მშენებლობის საჭიროებისათვის დადგენილი გამოსაღებიდან 50 პროცენტი მიიქცეს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში და აფხაზეთის ასსრ-ისა, აჭარისტანის ასსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ადგილობრივ ბიუჯეტებში;

გ) სოფლად კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის დადგენილი გამოსაღები, რაც გატარებულ უნდა იქნას საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში ტრანზიტად, გადაეცეს მთლად ადგილობრივ ბიუჯეტს;

დ) არასასაქონლო ოპერაციების გადასახადი, რაც გატარებულ უნდა იქნას საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში, მიიქცეს მთლად ადგილობრივ ბიუჯეტში;

ე) თამბაქოს ბრუნვის გადასახადის სპეციალური ანარიცხები (აფხაზეთის ასსრ-ისა და აჭარისტანის ასსრ-ისთვის) 190 მანეთის რაოდენობით თვითეულ დამზადებულ ტონაზე, რაც გატარებულ უნდა იქნას საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში, გადაეცეს მთლად ადგილობრივ ბიუჯეტებს.

4. დაწესებულ იქნას 1935 წლისათვის სახელმწიფო მასურ სესხთაგან შემდეგი ანარიცხების გადადება რესპუბლიკანურ და ადგილობრივ ბიუჯეტებში:

ა) 1934 წელს გამოშვებულ სახელმწიფო მასურ სესხთაგან: 5 პროცენტის რაოდენობით იმ სესხის თანხიდან, რომელიც რეალიზებულია მუშათა და მოსამსახურეთა შორის,—საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში და 10 პროცენტის რაოდენობით ადგილობრივ ბიუჯეტში; დანარჩენ მოსახლეობას შორის რეალიზებული სესხის თანხიდან 5 პროცენტი—ადგილობრივ ბიუჯეტში;

ბ) 1935 წელს ქალაქისა და სოფლის მუშათა და მოსამსახურეთა და ქალაქის სხვა მოსახლეობას შორის სარეალიზებელ სახელმწიფო მასურ სესხთაგან 5 პროცენტის რაოდენობით—საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში და 10 პროცენტის რაოდენობით—ადგილობრივ ბიუჯეტში; კოლმეურნეთა და ერთპი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როვნულ მეურნეთა შორის რეალიზებული სესხის თანხიდან 50 პროცენტი ად-გილობრივ ბიუჯეტში;

გ) დადგენილი ანარიცხების თანხები, რაც მიღებულ იქნება აფხაზეთის ასსრ-ისა, აჭარისტანის ასსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ტერიტორიაზე მოთავსებულ სახელმწიფო მასურ სესხთა რეალიზაციით, მიიქცეს მთლად ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ადგილობრივ ბიუჯეტში.

5. მიენდოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს — ფედერატიული ორგანოების მიერ საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტისათვის ბრუნვის გადასახადის პროცენტული ანარიცხების დადგენის შემდეგ — განსაზღვროს ბრუნვის გადასახადის ანარიცხების პროცენტი დეფიციტიანი რაიონებისა, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქისა და ქალ. ტფილისის ბიუჯეტებისათვის.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს განსაზღვროს დეფიციტიანი რაიონებისა და ქალ. ტფილისის ბიუჯეტებისათვის ანარიცხთა პროცენტი ქალაქებში საბინაო და კულტურული მშენებლობის საჭიროებისათვის დადგენილი გამოსაღების თანხისა და რეალიზებულ სახელმწიფო სესხთა ანარიცხების თანხისა, რომელი თანხებიც ირიცხება საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში, და წარმოუდგინოს იგი დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

7. საქართველოს სსრ 1935 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ყველა შემოსავლის მთლად მიღების უზრუნველსაყოფად:

ა) წინადადება მიეცეს ყველა სამეურნეო ორგანიზაციას — სამეურნეო ანგარიშის განუხრელად გატარებისა, თვითღირებულების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ბრძოლის საფუძველზე — მიაღწიოს დაგროვების პროგრამის მთლად განხორციელებას და ბიუჯეტის მიმართ ყველა თავისი მოვალეობის შესრულებას (მოგების ანარიცხთა გადადება, ბრუნვის გადასახადის გასტუმრება და სხვა მისთ.);

ბ) დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს, უკეთუ არ შემოვა სამეურნეო ორგანიზაციების მოგების კვარტალური ანარიცხები, დაუყოვნებლივ მოახსენოს ეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავისი წინადადებით იმ ღონისძიებათა შესახებ, რაც უზრუნველყოფს ბიუჯეტის ხვედრ ანარიცხთა გადახდევინებას, აგრეთვე იმ ღონისძიებათა შესახებ, რაც საჭიროა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ალსრულებისათვის და საგასავლო ნაწილის მიღებულ შემოსავალთან შეფარდებისათვის.

8. საჭიროდ იქნას ცნობილი, როგორც სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფი დაწესებულებებისა, ისე სამეურნეო ორგანიზაციების ფაქტური საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯების შემცირება, რისთვისაც გადასინჯულ იქნას აღნიშნული დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სტრუქტურა და შტატები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს, საბიუჯეტო-საკრედიტო დისციპლინის დარღვევის რეციდივების ლიკვიდაციისა და ამ დისციპლინის განმტკიცების მიზნით, გაუწიოს სისტემატურად მტკიცე რევიზია საბიუჯეტო-სამეურნეო ორგანიზაციებს და ყველა შემთხვევა საბიუჯეტო-საკრედიტო დისციპლინის დარღვევისა, სამუშაო ხელფასის გაცემის დაყოვნებისა, სამუშაო ხელფასის დადგენილი ფონდის თვითნებისად გადიდებისა და საადმინისტრაციო-სამეურნეო ხარჯების გადამეტხარჯვისა მოახსენოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და იხმაროს დამნაშავეთა წინააღმდეგ გადასახდელთა სათანადო ღონისძიებანი.

10. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს უზრუნველყოს მასური მუშაობის შემდგომი გაშლა მოსახლეობის სახსართა და განსაზოგადოებული მეურნეობის შემოსავლის მობილიზაციისათვის.

11. საერთო-საკავშირო ბიუჯეტისადმი 11.120 ათასი მანეთით დავალიანების დაფარვის უზრუნველსაყოფად შემცირებულ იქნას სახელმწიფო ბიუჯეტის მოცულობა (ნეტო) აღსრულების წესით 3 პროცენტით, ანუ 5.630 ათასი მანეთით, და ადგილობრივი ბიუჯეტი—5.490 ათასი მანეთით; აქედან: ტფილისის ხაზით—1 მილიონი მან., ქუთაისის ხაზით—150 ათასი მან., ფოთის ხაზით—50 ათასი მან. და საქართველოს სხვა ადგილების ხაზით, აფხაზეთის ასსრ-ისა, აჭარისტანის ასსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის გამოკლებით,—4.290 ათასი მან.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ. ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი თ. ჟღენტი.

1935 წ. აპრილის 20. № 497.

ტფილისი.

---

## სახელმწიფო დაზღვევა

### 94. დადგენილება ს.კ.ს.

**„საქართველოს სსრ სოფლებსა და ქალაქებში 1935 წელს სავალდებულო სახანძრო დაზღვევის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.**

„კოლმეურნეთა ცხენების დაზღვევის შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. მარტის 15-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1935 წ. მე-14 №-ი, მუხ. 110) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ეროვნული

1. „საქართველოს სსრ სოფლებსა და ქალაქებში 1935 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ“ გამოცემული, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. აგვისტოს 4-ის დადგენილების 1-ლი მუხლის „ბ“ ლიტერის „ზ“ პუნქტი (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. 34 №-ი, მუხ. 260) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„ზ) ცხენი, ჯორცხენა, ჯორი, ვირი, აქლემი 1 წლიდან—სიკვდილისაგან“.

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. ოქტომბრის 29-ს დადგენილება „საქართველოს სსრ სოფლებსა და ქალაქებში 1935 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. 34 №-ი, მუხ. 260) გაუქმებულ იქნას.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ის თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ის საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი.**

1935 წ. აპრილის 21. № 514.
ტფილისი.

---

# შრომა

## 95. დადგენილება ს.კ.ს.

**„სამედიცინო მომუშავეთა სამუშაო ხელფასის გადიდებისა და 1935 წელს ჯანმრთელობის დაცვისათვის ასიგნების გადიდების შესახებ“ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წ. მარტის 4-ის დადგენილების გამოცემასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ.**

„სამედიცინო მომუშავეთა სამუშაო ხელფასის გადიდებისა და 1935 წელს ჯანმრთელობის დაცვისათვის ასიგნების გადიდების შესახებ“ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წ. მარტის 4-ის დადგენილების გამოცემის გამო (სსრკ. კან. კრ. 1915 წ. მე-12 №-ი, მუხ. 92), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ივნისის 21-ის დადგენილება „ფსიქიატრიულ საავადმყოფოთა სამედიცინო პერსონალის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-14 №-ი, მუხ. 151; 21 №-ი, მუხ. 249).

ეროვნული

2. „სამედიცინო და სავეტერინარო დარგის მომუშავეთა და აგრეთვე სასოფლო და სატყეო მეურნეობის სპეციალისტთა შვილების სასწავლებლებში მიღების მხრივ მუშათა შვილებთან გათანასწორების შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ივნისის 4-ის დადგენილების სათაურში და ტექსტში (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-13 №-ის მუხ. 142; 1931 წ. მე-18 №-ი, მუხ. 198) ამოიშალოს სიტყვები: „სამედიცინო და“; „ამასთანავე სიტყვები: „და აგრეთვე სასოფლო“ შეიცვალოს სიტყვებით: „და სასოფლო“

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ა. ქავთარაძე.

1935 წ. აპრილის 21. № 515.
ტფილისი

---

# განათლება

## 96. დადგენილება ს.ქ. ს. და ს. კ. პ (ბ) ც. კ.

### 1935 წელს სასკოლო მშენებლობის შესახებ.

„სასკოლო მშენებლობის შესახებ „გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წ. თებერვლის 22-ის დადგენილებისა და ამ დადგენილების განსავითარებლად გამოცემული სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1935 წ. მარტის 15-ის დადგენილებისა და ა/კ სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. აპრილის 17-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. მოისპოს 1935 წლის შემოდგომისათვის მესამე წყების მეცადინეობა ტფილისის ყველა სკოლაში, რისთვისაც 1935 წელს აგებულ იქნას სასკოლო შენობები 5.600 სამოსწავლო ადგილით და 4.734.000 მან. საერთო კაპიტალდაბანდებით.

2. მოისპოს 1935 წლის შემოდგომისთვის სოხუმის, სტალინირის და ქიათურის სკოლებში მესამე წყების მეცადინეობა (გადაჯგუფებით, სასკოლო შენობების მდგმურებისა და ორგანიზაციებისაგან განთავისუფლებით, დამხმარე ოთახების—დარბაზების, სამუშაო ოთახების, სახელოსნოების და სხვა მისთ. კლასებად გამოყენებით).

3. დამტკიცებულ იქნას 1935 წელს სასკოლო მშენებლობის გეგმა სოფლად 395.52 კუბ. მეტრის მოცულობით და 7.910.420 მან. თანხით; აქედან:

ეროვნული

სანაპირო რაიონებსა და შორეულ და მთიან რაიონებში —38.900 კუბ. მეტრის მოცულობით და 778.000 მან. თანხით.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს,—მოსახლეობის თვითდაბეგვრის შესახებ საერთო-საკავშირო კანონის გამოქვეყნების შემდეგ,—დააზუსტონ აღნიშნული გეგმა და წარუდგინონ დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

4. დამტკიცებულ იქნას საქართველოს სსრ ადგილობრივი ბიუჯეტით სასკოლო შენობების რემონტისათვის გადადებული 816 ათასი მანეთის შემდეგი განაწილება: 500 ათასი მან.—ტფილისის საქალაქო საბჭოს და 316 ათასი მან.—საქართველოს სსრ დანარჩენ რაიონებს.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან ერთად, შეიმუშაოს და წარუდგინოს ხუთი დღის ვადაზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად:

ა) 1936 წელს საქართველოს სსრ ყველა ქალაქში და სოფელ-ადგილას მესამე წყების მეცადინეობის ლიკვიდაციის გეგმა;

ბ) გეგმა მეორე წყების მეცადინეობის ლიკვიდაციისა ქალ. ტფილისსა, ქუთაისსა, ბათომსა, სოხუმსა და სტალინირში—1937 წელს, ხოლო დანარჩენ ქალაქებში—1938 წელს;

გ) 1936-1940 წლებში სასკოლო მშენებლობის გეგმა—ისეთი ვარაუდით, რომ ყველგან სკოლაში მოსპობილ იქნას ორწყებითი მეცადინეობა.

6. ცენტრალიზებულ იქნას იმ სასკოლო მშენებლობის ყველა სახსარი, რაც 1935 წელს განსახორციელებელია მოსახლეობის თვითდაბეგვრით, და შეიქმნას სასკოლო მშენებლობის სპეციალური რესპუბლიკანური ფონდი თვითდაბეგვრის წესით შეგროვილი სახსრიდან (იმ 25 პროცენტის გამოკლებით, რაც სხვა საჭიროებისათვის სოფლის განკარგულებაში რჩება).

აღნიშნული სახსარი ინახებოდეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული ანგარიშით და ეძლეოდეს სახალხო განათლების სარაიონო განყოფილებებს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის განკარგულებით, სოფლად სასკოლო მშენებლობისათვის დამტკიცებული გეგმის შესაბამისად.

დაწესებულ იქნას, რომ სასკოლო მშენებლობის კრედიტის განმკარგულებლები არიან საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი და სახალხო განათლების განყოფილებანი ადგილებზე.

წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქართველოს სსრ კომუნალურ ბანკს—გახსნან სკოლების მშენებლობის რაიონებში სახალხო განათლების განყოფილებათა სპეციალური სამშენებლო ანგარიშები.

სასკოლო მშენებლობის თვითდაბეგვრითი სახსრის ცენტრალიზაცია ავტო-

ნომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში ჩატარებულ იქნას ამ რესპუ-ბლიკების და ოლქის მაშტაბით და იმავე წესით.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისა-რიატს—დაავანსოს სასკოლო მშენებლობა სოფლად, თვითდაბეგვრით შემდეგში მისაღები შემოსავლის ანგარიშზე, 1.620.000 მან. რაოდენობით, ამ საჭირო-ებისათვის სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ გაცემული ავანსიდან.

8. ნება დაერთოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი-ატს—დახარჯოს ცენტრალიზებული წესით 200.000 მან. მისაღები ავანსიდან სოფლად სასკოლო მშენებლობისათვის საშენი მასალის შესაძენად.

9. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს, სახელ-მწიფო ბანკის საქართველოს კონტორას და საქართველოს სსრ კომუნალურ ბანკს—უზრუნველყონ საკასო აღსრულების წესით სოფლად სასკოლო მშენებ-ლობისათვის დამტკიცებული გეგმა, სახსარის გაცემით: პირველ ნახევარწელს—წლიურ ასიგნვათა 70 პროცენტის რაოდენობით, ხოლო პირველ სამ კვარტალ-ში—არა ნაკლებ 90 პროცენტისა.

10. სასკოლო მშენებლობა განხორციელებულ იქნას ტიპური პროექტე-ბის მიხედვით, რაც შეიმუშავება ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით და ადგილობრივი საშენი მასალის მაქსიმალურად გამოყენებით.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი-ატს—დაამტკიცოს ხუთი დღის ვადაზე სკოლების ტიპური პროექტები და უზრუნველყოს ამასთანავე იმ დირექტივის აღსრულება, რომ არა ნაკლებ მთელი სასკოლო ფართობის 60 პროცენტისა დაეთმოს საკლასო სადგომებს, ხოლო დანარჩენი ნაწილი დამხმარე სადგომებს (დარბაზები, სამუშაო ოთახები, სახელოსნოები და სხვ.).

11. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომი-სარიატს:

ა) გადასინჯოს შენებაში მყოფი სასკოლო შენობების გეგმები და შეუ-თანხმოს ეს გეგმები საკლასო ოთახების და დანარჩენი ფართობების შეფარდე-ბისათვის ზემოთ დადგენილ ნორმებს;

ბ) განახორციელოს ღონისძიებანი, რაც უზრუნველყოფს 1935 სასწავლო წლის დასაწყისისათვის არსებული სკოლების გამოყენებას, საკლასო ოთახების დანარჩენ ფართობთან შეფარდებისათვის დადგენილი ზემოაღნიშნული ნორმე-ბის საფუძველზე.

12. დამტკიცებულ იქნას 1935 წელს სოფლად სასკოლო მშენებლობის სა-შენი მასალით. მომარაგების გეგმა.

დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს, ავტო-ნომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულე-ბელ კომიტეტებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—უზრუნველყონ

სასკოლო მშენებლობა საშენი მასალებით ადგილობრივი წყაროებიდან, აგრეთვე დეცენტრალიზებული წესისამებრ მასალის იმ ნაწილის შესყიდვით, რაც არ დაიფარება ცენტრალიზებული რესურსებიდან გაცემული ფონდირებული საშენი მასალით.

**13.** დამტკიცებულ იქნას გეგმა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ორწლიანი პედ-ინსტიტუტების საერთო საცხოვრებლების მშენებლობისათვის 540 ათასი მანეთის რაოდენობით გადადებული თანხის შემდეგნაირად განაწილებისა: ტფილისის ინსტიტუტს—300 ათასი მან., ბათომის ინსტიტუტს—140 ათასი მან. და გორის ინსტიტუტს—100 ათასი მან.

**14.** მოწყობილ იქნას საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის შედგენილობაში სასკოლო მშენებლობის სამმართველო, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში სასკოლო მშენებლობის განყოფილებანი, და დაეკისროს მათ მშენებლობის ხელმძღვანელობა, სასკოლო მშენებლობის პროექტირება, საშენი მასალით მომარაგების ორგანიზაცია და ადგილებზე მშენებლობის მდგომარეობის შემოწმება.

**15.** წინადადება მიეცეს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) რაიონულ კომიტეტებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—მიიღონ თავიანთი უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ სასკოლო მშენებლობის საქმე, ფართოდ გაშალონ სკოლების მშენებლობა თვითდაბეგვრის საფუძველზე, მოაწყონ მოსახლეობის შრომითი მონაწილეობა და სხვა მისთ.

დაეკისროთ უშუალო პასუხისმგებლობა სკოლების მშენებლობისათვის, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთ და საოლქო კომიტეტების მდივანთ ხოლო რაიონებში—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთ და პარტიის რაიონული კომიტეტების მდივანთ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი **ლ. ბერია.**

1935 წ. აპრილის 17. № 490/.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 102 №-ში 1935 წ. მაისის 1.

---

## ჯანმრთელობის დაცვა

### 97. დადგენილება ს.კ.ს.

**საქართველოს სსრ მთავარ საკურორტო სამმართველოსთან მინერალური წყლების სამმართველოს სახელმწიფო ტრესტის („საქმინწყლის“) ორგანიზაციის შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

**1.** მინერალური წყლების რესურსების გამოყენებისა, ამ წყლების მოპოვების, ჩამოსხმის და რეალიზაციის მიზნით საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო

კომისარიატის სისტემაში მთავარ საკურორტო სამმართველოსთან შეიქმნას მინერალური წყლების სახელმწიფო ტრესტი „საქმინწყალი“. ამ ტრესტის შედგენილობაში ჩაირიცხოს: ა) გაზჩამომსხმელი ქარხანა ბორჯომში, ყველა დამხმარე წამოწყებითურთ, ბ) ბორჯომის მინის ქარხანა დამხმარე ცეხებით, გ) ახალდაბის ხე-ტყის მხერხავი ქარხანა, დ) კოშის ჩამომსხმელი ქარხანა, ვ) ჩამომ ხმელი წამოწყება „საირმე“, ე) გლაუბერის მარილის წამოწყება, ი) „ბორჯომწყლის“ ყველა საბაზისო საწყობი სსრ კავშირის ტერიტორიაზე.

2. ბორჯომის მინერალური წყლების სახელმწიფო ტრესტი „ბორჯმინწყალი“ გაუქმებულ იქნას.

3. ბორჯმინწყლისა და ახლად დაარსებული ტრესტის შედგენილობაში შემავალი ყველა სხვა წამოწყების ქონება და ღირებულება გადაეცეს „საქმინწყალს“ გადაცემის დღის ბალანსით აქტივითა და პასივით.

4. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან „საქმინწყლის“ საწესდებო კაპიტალის რაოდენობის შეთანხმების შემდეგ, დაამტკიცოს ამ ტრესტის წესდება.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობას წარმოადგინოს იმ ცვლილებათა პროექტი, რაც შეტანილ უნდა იქნას საქართველოს სსრ კანონმდებლობაში ამა დადგენილებასთან დაკავშირებით.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ბ. მდივანი.

საქ. სსრ საქმეთა მმართველი ა. ქავთარაძე.

1935 წ. მარტის 5. № 287.
ტფილისი.

---

## სისხლის სამართალი

### 98. დადგენილება ც.ა.კ. ს.კ.ს

**სისხლის სამართლის კოდექსის 75 მუხლის მეორე ნაწილის სანქციისა, 202 მუხლისა და 202[1] მუხლის პირველი ნაწილის შეცვლის შესახებ.**

„ხულიგნობასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების შესაბამისად (სსრკ ცენ. აღმ. კ-ტის „იზვესტია“-ს 1935 წ. 77 №-ი; სსრკ კან. კრ. 1935 წ. № მუხ. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. 75 მუხლის (ხულიგნობის შესახებ; კოდექსის 1933 წლის გამოცემა) მეორე ნაწილის სანქცია მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„თავისუფლების აღკვეთას ხუთ წლამდე“.

2. 202 მუხლი და 202¹ მუხლის პირველი ნაწილი (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-10 №-ი, მუხ. 145) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„202. ასაფეთქებელი ნივთიერების ან ჭურვისა, სასროლი (სანადიროს გარდა) და ცივი იარაღის (იმ ცივი იარაღის გარდა, რომლის შენახვა და ტარება დაკავშირებულია ყოფა-ცხოვრების პირობებთან და რომელიც ნაციონალური ტანისამოსის კუთვნილებაა) სათანადო ნებადაურთველად დამზადება, შენახვა, ყიდვა და გასაღება გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას ხუთ წლამდე, აღნიშნული ნივთიერებისა, ჭურვისა და იარაღის კონფისკაციით“.

„202¹ (1-ლი ნაწ.). 202 მუხლში აღნიშნული იარაღისა, ასაფეთქებელი და ადვილად ასაალებელი ნივთიერებისა და საგნისა, როგორიც არის: დენთი, ვაზნა და სხვა მისთ., გაგზავნა ფოსტით და სხვაგვარად გამოიწვევს.

თავისუფლების აღკვეთას ხუთ წლამდე, განაგზავნის კონფისკაციით“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1935 წ. აპრილის 29. № 26/549.
ტფილისი.

---

## შეცდომის გასწორება

კანონთა კრებულის მე-14 ნომრის შინაარსის აღნიშვნაში (გვ. 203) ბოლოს გამოტოვებულია რუბრიკა:

**სისხლის სამართალი**

81. „არასრულწლოვანთა შორის დანაშაულობასთან ბრძოლის ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემულ, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. აპრილის 7-ის დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

82. სამხედრო დანაშაულთა დებულების (სისხლის სამართლის კოდექსის დანართი) 1-ლი მუხლის შეცვლის შესახებ.

---

ფასი 40 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1935 წ. № 29. პ/მ. რედაქტორი ე. ბამრეკელი

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ.; 2 3/8 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი

ჩაბარდა სტამბას 19/V; ხელმოწერილია დასაბეჭდად 13 /VI; ტირაჟი 1.800

მთავლ. რწმ. ს.—№ 8745 საქ. სსრ სახ. კომ. საბჭოს სტამბა. შეკვ. № 758